პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

საინფორმაციო ბიულეტენი

2024

ამომრჩევლის უფლებები და საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის ცალკეული ასპექტები

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2024 წელს, სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, მორიგი საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული საშუალებებით ჩატარდება. საქართველოს გარდა, არაერთ ქვეყანაში იყენებენ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემებს, როგორც არჩევნების ჩატარების ახალ მეთოდს. ცნობილია, რომ ამგვარი არჩევნები ამარტივებს ხმის მიცემისა და დათვლის პროცესს, ამცირებს შესაბამის ხარჯებს, უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და ზრდის ხმის მიცემის ხელმისაწვდომობას მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ამასთან, მსოფლიოს ციფრულმა ტრანსფორმაციამ უკეთ გამოკვეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში პერსონალურ მონაცემების დაცვის საჭიროებაც.[1]

სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების განხორციელება ეფუძნება ხმის მიცემის საიდუმლოების, შედეგების მთლიანობის, ხმების თანასწორობის, ხმის მიცემის უნივერსალურობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების ნდობის მოპოვების პრინციპებს.[2] ელექტრონული ტექნოლოგიების საარჩევნო პროცესებში დანერგვა ამომრჩევლების პერსონალური მონაცემების დამუშავების გზებს მნიშვნელოვნად ცვლის.

პოლიტიკური შეხედულებების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაცია ადამიანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია.[3] განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის დამუშავება კი განსაკუთრებულ სიფრთხილეს და მაღალი სტანდარტის დაცვას მოითხოვს. პერსონალური მონაცემების შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, შენახვა, გამოთხოვა, გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა, გავრცელება, წაშლა ანდა სხვა ნებისმიერი მოქმედება პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს ქმნის.

არჩევნების დღეს, თუ მის მოსამზადებელ ეტაპზე ფორმირდება საარჩევნო სიები, ნაწილდება ისინი შესაბამისი საარჩევნო უბნების მიხედვით, სადაც იყოფა სპეციალურ, გადასატანი ყუთის და სხვა სიებად. გროვდება და ინახება არჩევნებზე გამოცხადებული ადამიანების სახელები, გვარები, ხელმოწერები, გამოიყენება ამომრჩევლების ფოტოსურათები, პოლიტიკური გაერთიანებები აგროვებენ თავიანთი ამომრჩევლების/მხარდაჭერების შესახებ მონაცემებს, ახორციელებენ წინასაარჩევნო აგიტაციას და სხვა. ამასთან, საარჩევნო პროცესში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ინფორმაციის კონფიდენციალურობა. შესაბამისად, საარჩევნო გარემო ამავდროულად პერსონალური მონაცემების დამუშავების

---

[1] ხუბუა გ., მისასალმებელი წერილი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №1, 2023, 9-10.

[2] OSCE, Handbook for the Observation of New Voting Technologies, 2013, p. 9-11.

[3] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

მრავალფეროვანი პროცესია, რაც მასში ჩართული თითოეულ პირისგან პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის აუცილებელ ცოდნასა და სათანადო წინდახედულებას მოითხოვს.

2024 წლის 1 მარტიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი ამოქმედდა. ის არსებით ცვლილებებს ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვადასხვა პროცესისთვის, ახლებურად განსაზღვრავს მონაცემების კონფიდენციალურობის სტანდარტებს და მათ დასაცავად პროაქტიულად მისაღებ ზომებს.

არჩევნების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები. გამონაკლისს არც ელექტრონული არჩევნები წარმოადგენს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, წინმსწრებად გაანალიზდა საარჩევნო პროცესი, სენსიტიური პერსონალური მონაცემების, ბიომეტრიისა და ამომრჩეველთა რეგისტრაცია/ავთენტიფიკაციის პროცესში ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის სახელმძღვანელო რეკომენდაცია,[4] ასევე, არჩევნების დამკვირვებელი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ჰქონდა შესაძლებლობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში გაცნობოდა ელექტრონული ტექნოლოგიების სპეციფიკურ მახასიათებლებს, მათი საშუალებით არჩევნების ორგანიზების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ასევე, მონაწილეობა მიეღო იმიტირებულ ელექტრონულ არჩევნებში.

ზემოხსენებულის საფუძველზე მომზადდა ამომრჩევლისთვის (მონაცემთა სუბიექტი) განკუთვნილი წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი.

საინფორმაციო ბიულეტენი, ნორმატიული ხასიათის ინფორმაციის გარდა, ასევე შეიცავს ამომრჩევლებისთვის განკუთვნილ, სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საარჩევნო პროცესში მათი პერსონალური მონაცემების დაცვას.

---

[4] Consultative Committee of the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Guidelines on the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data for the Purposes of Voter Registration and Authentication, <https://rm.coe.int/tpd-2023-2rev6-processing-pd-in-vote-and-elections-en-final/1680b1511c> [15.10.2024].

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია საარჩევნო პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ამომრჩეველთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ და პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების პრევენცია.

➢ საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავება

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ამომრჩევლების მონაცემების დამუშავების პროცესს არსებითად ცვლის, მატერიალურ დოკუმენტაციას ავტომატიზებული მონაცემები ანაცვლებს, სახეცვლილი ფორმით რჩება საარჩევნო პროცესებში ქაღალდის კვალიც (მაგალითად ვერიფიკაციის აპარატები ამომრჩევლის ვინაობის დადასტურების შემდეგ ბეჭდავს მისი მონაცემების შემცველ ქვითარს, რომელსაც ხელს ამომრჩეველი აწერს და გაუმჭვირვალე ყუთში ათავსებს და სხვა).

გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტები ხშირად მიმართავენ ამომრჩევლებთან უშუალო კონტაქტს, რომლის ფარგლებშიც მონაცემებს თავად ამომრჩევლებისგან აგროვებენ.

საარჩევნო პროცესები დიდი მოცულობის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას იწვევს, რაც, უმეტესად ამომრჩევლის პოლიტიკური შეხედულებების, ჯანმრთელობის, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის შესახებ ინფორმაციაა.

გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო პროცესების მიმართ ყოველთვის მაღალია საჯარო ინტერესი.

საზოგადოების მაღალი ინტერესის დაკმაყოფილებისა და ინფორმაციის საჯაროობის პარალელურად, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა უფლებების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვა.

საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაში განსაკუთრებული როლის შესრულება პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებში გარკვეულ, ინფორმირებულ ამომრჩეველს ანუ მონაცემთა სუბიექტს შეუძლია.

ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც კენჭისყრის დღეს, ასევე წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

საარჩევნო პერიოდში მუშავდება ამომრჩეველთა როგორც ,,ჩვეულებრივი", ასევე „განსაკუთრებული კატეგორიის" მონაცემები, რომელთა დაცვა საარჩევნო პროცესში ჩართული თითოეული პირის მოვალეობაა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება სრულად ვრცელდება საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური პრევენციული ღონისძიებების პარალელურად, თავისი საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში, სათანადო რეაგირებას მოახდენს საარჩევნო პროცესების დროს პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მოუწოდებს ამომრჩევლებს, საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას, საარჩევნო სუბიექტებს, მათ ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები დაამუშაონ სამართლიანად და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის (მოქალაქეთა) ღირსების შეულახავად; არ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მონაცემები არამართლზომიერი მიზნით; დაამუშაონ მხოლოდ ადეკვატური და პროპორციული მოცულობის მონაცემები და მოპოვებული მონაცემები წაშალონ ან გაანადგურონ, დამუშავების მიზნის მიღწევის შემდგომ.

➢ რა მონაცემების დამუშავებაა კანონმდებლობით დაშვებული საარჩევნო პროცესში?

საარჩევნო კანონმდებლობით არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ამომრჩევლის შესახებ სხვადასხვა პერსონალურ მონაცემს ამუშავებენ. პერსონალური მონაცემების დამუშავება არის მონაცემთა მიმართ შესრულებული სხვადასხვა მოქმედება - შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა, გავრცელება, სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა, დაჯგუფება, კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

საარჩევნო ადმინისტრაცია - ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების მიზნით, ამუშავებს შემდეგ ინფორმაციას - ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, მისამართს, პირად ნომერს, ფოტოსურათს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

სპეციალური საჭიროებისას, კერძოდ, როცა ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს საარჩევნო უბნისაგან განსხვავებულ ადგილზე ან სპეციალური წესით, საარჩევნო ადმინისტრაცია დამატებით ამუშავებს ინფორმაციას ამომრჩევლის საკონსულო აღრიცხვის თაობაზე და „განსაკუთრებული კატეგორიის“ მონაცემებს - ინფორმაციას ამომრჩევლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის შესახებ. არჩევნების გამჭვირვალობის მიზნით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გარკვეული ნაწილი თავსდება საჯაროდ - ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე, გადაეცემათ არჩევნებში

მონაწილე სუბიექტებს (პოლიტიკურ პარტიებს), საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს.

საარჩევნო სუბიექტები - პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაცული ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ნაწილი. ისინი უფლებამოსილნი არიან სხვადასხვა ფორმით განახორციელონ საარჩევნო აგიტაცია და ამ მიზნით მოიპოვონ და გამოიყენონ ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია. ამ პროცესში ისინი ამუშავებენ ამომრჩეველთა მონაცემებს, მათ შორის ინფორმაციას მხარდამჭერთა პოლიტიკური შეხედულების შესახებ, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები - ამუშავებენ მონაცემებს საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ გადაამოწმონ საარჩევნო კომისიების დოკუმენტები, სადაც პერსონალური მონაცემებიც არის თავმოყრილი. ასევე, მათ შეიძლება გადაეცეთ ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ვერსია.

➢ **პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/ უფლებამოსილი თითოეული პირი ვალდებულია:**

- დარწმუნდეს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება არის კანონიერი და სახეზეა მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი;
- აღრიცხოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი;
- გადაამოწმოს მონაცემების სისწორე;
- განსაზღვროს მოპოვებულ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა წრე და მათზე წვდომის უფლება მიანიჭოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საჭიროება;
- უზრუნველყოს მონაცემთა სათანადო უსაფრთხოება (მაგალითად, მონაცემების შემცველი ინფორმაცია განათავსონ დაცულ ადგილას, იზრუნონ მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნების პრევენციაზე და ა. შ.);
- თუ მონაცემების შეგროვება ხდება ამომრჩევლისაგან, ამომრჩეველს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ნებაყოფლობითია მონაცემების მიწოდება;
- ამომრჩეველს მიაწოდოს ინფორმაცია ვინ და რა მიზნით ითხოვს და ამუშავებს მის მონაცემებს;
- ამომრჩევლის მოთხოვნის შემთხვევაში, აღარ დაამუშაოს მისი მონაცემები; საარჩევნო მიზნებისთვის მოპოვებული მონაცემები გამოიყენოს მხოლოდ ამ მიზნით და არა სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

➢ რა წესები უნდა დაიცვან საარჩევნო სუბიექტებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ან/და აგიტაციის დროს?

საარჩევნო სუბიექტები, აგიტაციის მიზნებისთვის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ხშირად მიმართავენ ამომრჩევლებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ფორმას (პირდაპირი მარკეტინგი). როგორც წესი, ამ პროცესში მონაწილეობენ შუამავალი კომპანიებიც, რომლებიც ფლობენ სატელეფონო ნომრების ბაზას და აგზავნიან დამკვეთებისთვის სასურველი შინაარსის შეტყობინებებს. მოკლე ტექსტური შეტყობინების პარალელურად, ამომრჩეველთან კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით ან/და სატელეფონო (მათ შორის, ავტომატიზებული) ზარის განხორციელების გზითაც.

მნიშვნელოვანია!

2024 წლის 1 მარტიდან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, შეტყობინებების ზემოაღნიშნული ფორმით და მიზნით გაგზავნა პირდაპირი მარკეტინგია და დაშვებულია, მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩევლის წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ. ამასთან, ასეთი შეტყობინება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მის შემდგომ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმს; ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს შეტყობინების შემდგომ მიღებაზე უარის გაცხადების უსასყიდლო და მარტივი შესაძლებლობა.

☑ ამომრჩეველს უფლება აქვს:

- მარტივი და გასაგები ენით მოითხოვოს განმარტება რომელი ორგანიზაცია აგროვებს მის მონაცემებს, რა მიზნით აპირებს მის გამოყენებას, რამდენად სავალდებულოა მონაცემების მიწოდება, რა საფუძვლით სთხოვენ მას კონკრეტულ ინფორმაციას მის შესახებ, რა გზით შეგროვდა მისი პერსონალური მონაცემები, დაინტერესდეს და მიიღოს პასუხი გადაეცა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში ვის გადაეცა, რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით;
- მოითხოვოს მის შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებაში არსებული პერსონალური მონაცემების გაცნობა და მათი ასლები;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა, თუკი მონაცემები მოძველებულია, არაზუსტია, არაკანონიერია;

- ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით, პერსონალური მონაცემების დარღვევით დამუშავებისას მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

მნიშვნელოვანია: ამომრჩევლის მიერ სიფრთხილის და წინდახედულობის გამოჩენა საკუთარი პერსონალური მონაცემების გაცემისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, მათ შორის, პოლიტიკურ შეხედულებებს ეხება.

გახსოვდეთ!

საარჩევნო კამპანიის და საარჩევნო აგიტაციის დროს ამომრჩეველი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მისი ვინაობა, პოლიტიკური შეხედულება, სამუშაო ადგილის შესახებ ან სხვა პერსონალური ინფორმაცია.

☑ **უფლებათა რეალიზაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით მიზანშეწონილია:**

ამომრჩევლები გაეცნონ ელექტრონული საარჩევნო სისტემის შესახებ ცესკოს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს.

ამომრჩევლებმა შეამოწმონ ელექტრონული საარჩევნო სისტემის უსაფრთხოება, მოიძიონ ინფორმაცია ელექტრონული საარჩევნო სისტემის მიერ განხორციელებული უსაფრთხოების ზომების შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად. დარწმუნდნენ, რომ სისტემა იყენებს ადეკვატურ და საკმარის ზომებს პერსონალური მონაცემების დასაცავად.

☑ **ვის უნდა მიმართოთ კონსულტაციისთვის ან/და პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების შემთხვევაში?**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს. საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებზე კონსულტაციის მისაღებად ან პერსონალური მონაცემების კანონის შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტთან დაკავშირებით, ამომრჩევლებს, დამკვირვებელ ორგანიზაციებს, საარჩევნო სუბიექტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მომართონ **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (+995322421000, office@pdps.ge, საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N°7, 0105, ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. N°48, 6010).**